



საქართველოს სახალხო დამცველი

სახალხო დამცველის სპეციალური საინფორმაციო
ნარკვევი გამყოფ ხაზზე დაკავებებისა და პატიმართა
მდგომარეობის შესახებ

2014 წლის ივნისი
საქართველოს სახალხო დამცველი
www.ombudsman.ge

საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა

საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, სახალხო დამცველი აკვირდება საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობას და რეაგირებს დარღვევის ფაქტებზე. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და პრიორიტეტი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგია.

დღეისათვის, ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩება მუდმივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და პატიმრების საკითხი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის¹ გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეთა თავისუფლების აღკვეთის ფაქტები წლებია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებებისა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრაქტიკა ინტენსიურად გრძელდება.

დღეისათვის, ცხინვალის ციხეში იმყოფება 3 ქართველი პატიმარი. მათ შორის 2 საზღვრისპირა სოფლების მკვიდრია, რომლებიც „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით დააკავეს რუსმა მესაზღვრეებმა. პატიმართა ოჯახის წევრების ცნობით, მათ გაუსაძლის პირობებში უხდებოდათ ყოფნა და აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამა წლის 31 მაისამდე სულ დაკავებული იყო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები 70 მოქალაქე.

საქართველოს ციხეში გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები 11 პატიმარი იხდის სასჯელს, რომელთა გათავისუფლების შესახებ სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. მათი ერთი ნაწილი 2008 წლამდე ქურდობის, ყაჩაღობისა, და ტერორიზმის ბრალდებით არის დაკავებული. მათ შორის, 2005 წელს გორის ტერაქტის მოწყობის ბრალდებით გასამართლებულ სამ პირს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი. პატიმრების ნაწილი კი საქართველოს ციხეებში 2008 წლიდან იხდის სასჯელს, ძირითადად ჯაშუშობასა და უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით. მათ შორის ორი ქალია. დაკავებამდე ისინი ინარჩუნებდნენ ურთიერთობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ ახლობლებთან და ხშირად გადაადგილდებოდნენ კონფლიქტის ზონაში.

¹ ტექსტში “სამხრეთ ოსეთი” გამოიყენება სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის/ცხინვალის რეგიონის აღსანიშნავად და არ გააჩნია პოლიტიკური დატვირთვა.

როგორც ოსი, ისე ქართველი პატიმრები და მათი ოჯახის წევრები რეგულარულად მოგვმართავენ და მოითხოვენ შეწყალებას და მხარეების ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის პატიმრობაში მყოფი პირების გათავისუფლებას.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს ციხეებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც წინამდებარე ნარკვევშია მოცემული. დანაწევრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გვეძლევა შესაძლებლობა შევისწავლოთ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში პატიმართა საკითხი და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში მაინც მოხერხდება აფხაზურ და ოსურ მხარესთან თანამშრომლობა ადამიანის უფლებების მიმართულებით.

ერთი წლის წინ, ჩვენ პირველად გავაჟღერეთ ორივე მხარეს, შეწყალების გზით პატიმართა გათავისუფლების იდეა, რის შემდეგაც მივიღეთ უამრავი პოზიტიური სიგნალი არა მხოლოდ ოჯახის წევრებისაგან, არამედ კონფლიქტის ორივე მხარეს მოქმედი არაერთი ოსური და ქართული ორგანიზაციისაგან. საკითხის შესწავლაში აქტიურად იყო ჩართული სახალხო დამცველთან არსებული ოსური ფორუმი და საქართველოში მოქმედი ოსური არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი მიესალმებიან ამ პროცესს და მიიჩნევენ, რომ პატიმრების გათავისუფლება მხარეებს შორის ნდობის აღდგენას და შემდგომ სტაბილურობას შეუწყობს ხელს. წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 2012-2013 წლებში რამდენიმე ქართველი და ოსი პატიმარის გათავისუფლება. სამწუხაროდ, დღეისათვის ეს პროცესი შეჩერებულია

მიმაჩნია, რომ ორივე მხარის მიერ პატიმრების განთავისუფლების ჰუმანური აქტი, ხელს შეუწყობს ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგის გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებებით, რაც მხოლოდ სარგებელს მოუტანს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას.

მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგები ასევე მწვავედ აისახება გალის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე. აფხაზეთში არაერთი გალის რაიონის მკვიდრია დაკავებული „საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობისა“ და „დივერსიული აქტების მოწყობის“ ბრალდებით. საქართველოს ციხეებში კი გალის რამდენიმე მკვიდრი იხდის სასჯელს ტერორიზმისა და უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების გამო. ერთ-ერთი ასეთი გახმაურებული საქმეა ე.წ. კოჭოიას საქმე, რომლის შესწავლის შემდგომ იკვეთება მთელი რიგი დარღვევები, მათ შორის პატიმრების სავარაუდო წამება აღიარების მოპოვების მიზნით და სხვა პროცესუალური დარღვევები, რაც დღის წესრიგში აყენებს აღნიშნული საქმის გადახედვის აუცილებლობას.

პატიმრების საკითხის გადაჭრის პარალელურად, მხარეები უნდა შეთანხმდნენ ისეთ მექანიზმებზე, რომლებიც უზრუნველყოფს გამყოფ ხაზზე დაკავებულების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას. კონკრეტულად კი, მნიშვნელოვანია:

- მხარეები მეტი სერიოზულობით მოეკიდონ მოლაპარაკებების პროცესს (IPRM, ჟენევის შეხვედრები), ყურადღება გაამახვილონ დაგროვილ პრობლემებსა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე და გადადგან ქმედითი ნაბიჯები წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად; შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკებების პროცესს დღეს ძირითადად ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან მხარეები ჯერ ისევ პოლიტიკური სტატუსსა და ტერმინოლოგიებზე აპელირებენ;
- უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება ორივე მხარეს. ამისათვის უნდა შეწყდეს ხანგრძლივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და გამოინახოს რეაგირების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაარღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს;
- მხარეებმა გამონახონ გზები დაკავებულთა და პატიმართა გასათავისუფლებლად. ეს შეიძლება იყოს გაცვლა – „ყველა ყველაზე“, ვადაზე ადრე გათავისუფლების, ამნისტიის ან შეწყალების გზით.
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, გალში IPRM-ის შეხვედრების აღსადგენად;
- საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მიეცეთ საშუალება დააკვირდნენ და შეისწავლონ ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევები კონფლიქტურ რეგიონებში.

წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა კიდევ უფრო დაიძაბოს ისედაც უკიდურესად დამაბული ურთიერთობები. გახშირებული დაკავებების ფაქტები გაუსაძლის ხდის ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის ყოფას და ზრდის მათში რადიკალურ განწყობას, რაც დამაბულობის ზრდისა და დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს.

შესავალი

2008 წლის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარება და შეთანხმებების გაფორმება დაიწყო, მათ შორის ერთ–ერთი იყო „სახელმწიფო საზღვრების გაერთიანებული დაცვის შესახებ“ შეთანხმება,² რომლის მიხედვითაც რუსეთი თავის თავზე იღებს მათი საზღვრების მოწყობისათვის ყველა საჭირო მატერიალურ და ფინანსურ ხარჯს. დღეისათვის, რუსეთს სამხრეთ ოსეთის 350 კმ-იან გამყოფ ხაზზე მოწყობილ 4 სასაზღვრო ბაზასა და 100-მდე სადამკვირვებლო პუნქტში 1 200-მდე მესაზღვრე ჰყავს განლაგებული, ხოლო აფხაზეთის 120 კმ-იან გამყოფ ხაზს 900-მდე რუსი მესაზღვრე და 12 სასაზღვრო პუნქტი აკონტროლებს.³

2013 წლიდან, აქტიურად დაიწყო საზღვრის გავლების სამუშაოები, რაც გულისხმობს მავთულხლართების და ღობეების გავლებას, თხრილების გაკეთებას, სათვალთვალო ბოძების ჩადგმას და მესაზღვრეების პატრულირებას. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე, მავთულხლართების და ღობეების გავლება დასახლებულ პუნქტებში, ძირითადად გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს, რომელთა საერთო საზღვარი დაახლოებით 155 კმ-ს შეადგენს. დღეისათვის შეღობილია 30-35 კმ, ანუ საერთო პერიმეტრის 20-25%.⁴ დიდი ალბათობით, ქართული მხარისათვის ეს პროცესი მომავალშიც მტკივნეულად წარიმართება და საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

დაკავებები სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე

2008 წლის ომის შემდეგ, გახშირდა სამოქალაქო პირთა დაკავებების პრაქტიკა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთა, მათ შორის ქალების, არასრულწლოვნებისა და მოხუცებულთა, დაკავებები „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით ხდებოდა. 2009 წელს, ქართულ პოლიციას სამხრეთ ოსეთის 15-მდე მკვიდრი, ძირითადად იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით ჰყავდა დაკავებული.

დაკავებები ხშირად მიზანმიმართულად ხორციელდებოდა, რათა მომხდარიყო მათი გაცვლა. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების უმაღლესმა კომისარმა თომას ჰამარბერგმა, რომელიც

² Соглашение между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Южная Осетия. http://news.kremlin.ru/ref_notes/191 Соглашение между Российской Федерацией и Республикой Абхазия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Абхазия http://news.kremlin.ru/ref_notes/190

³ “В Цхинвале ввели в эксплуатацию комплекс Погрануправления ФСБ России”. 30 ივნისი 2013 იხილეთ <http://www.yuga.ru/news/266200/>; “Российские пограничники продолжают обустройство границы Абхазии и Южной Осетии” 28 მარტი 2012. იხილეთ <http://www.ekhokavkaza.com/archive/news/20120528/3235/2759.html?id=24595175>;


⁴ საქართველო-რუსეთი: გამყოფ ხაზზე მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური, სამართლებრივი და ჰუმანიტარული განზომილება, კავკასიური სახლი, 2014. იხილეთ <http://tinyurl.com/lv88qpr>

აქტიურად იყო ჩართული დაკავებულებისა და უგზოუკვლოდ გაუჩინარებულების მოძიების საქმეში, ამ პრაქტიკას „მძევალთა აყვანა“ უწოდა.⁵

2009 წლის ზაფხულში, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ფარგლებში, დაიდო ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმება“ იმის თაობაზე, რომ მხარეები აღარ დააკავებდნენ ადამიანებს, რომლებიც შემთხვევით და არა მიზანმიმართულად კვეთდნენ გამყოფ ხაზს. თუმცა, ოსური მხარის მიერ მოხდა ამ შეთანხმების დარღვევა.⁶

2010 წლის მარტში ჰამარბერგმა მხარეებს შესთავაზა მემორანდუმი, რომლითაც მოხდებოდა დაკავებულების „ყველა ყველაზე“ გათავისუფლება წინაპირობებისა და რაოდენობრივი გაანგარიშების გარეშე. მემორანდუმის მიხედვით, გათავისუფლების სხვადასხვა ხერხები შეიძლება ყოფილიყო ვადაზე ადრე გათავისუფლება, შეწყალება ან ამნისტია. ქართულმა მხარემ გაანთავისუფლა 2008 წლის შემდეგ დაკავებული ყველა პირი (სულ 6). ოსურმა მხარემ ასევე გაათავისუფლა 6 პირი, თუმცა არა ყველა (2008 წლის ომის შემდგომ ოსურ მხარეს დაკავებული ჰყავდა სულ 13 პირი), როგორც ეს ჰამარბერგის მიერ შეთავაზებულ მემორანდუმით იყო გათვალისწინებული.

დღეს საქართველოს ციხეში 2010 წლის შემდეგ დაკავებული 4 პირი იხდის სასჯელს. ოსური და რუსული მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის პრაქტიკა დღემდე ინტენსიურად გრძელდება.



*სულ 606 მოქალაქე

⁵ თომას ჰამარბერგის ადამიანის უფლებათა 2010 წლის ანგარიში საქართველოში 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ. იხილეთ <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1680719> იგივე.

გაზაფხული დაკავებების ინტენსივობით ყოველთვის გამოირჩევა. სასოფლო სამეურნეო სამუშაოების განახლებას ემთხვევა აღდგომის დღესასწაულებიც, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სასაფლაოებსა და ეკლესიებში მიდის. გახშირდა დაკავებები 2014 წლის გაზაფხულზეც. 2-12 მაისის ათდღიან მონაკვეთში 26 ადგილობრივი მკვიდრი დააკავეს ჯონჯოლის კრეფის დროს. როგორც მათ მოგვიანებით განაცხადეს, მათი დაკავება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა.

საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, დაკავებისათვის ჯარიმა 2 000 - 11 000 რუბლი ანუ 100-600 ლარია, იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იყო პირი დაკავებული. ეს თანხა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მძიმე ფინანსური ტვირთია, რადგან ბევრი მათგანი სოციალურად დაუცველია. თანხის გადახდა ხშირად ნათესავების და მეზობლების დახმარებით ხერხდება, მათ შორის ოსი ნათესავების მიერ. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ესაუბრა 77 წლის გ.ა.-ს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯარიმის თანხა ვლადიკავკაზში მცხოვრებმა ოსმა ნათესავმა გადაუხადა. ამჟამად ცხინვალის ციხეში 3 ქართველი პატიმარი რჩება (მათი საქმეები იხილეთ დანართში).

დღემდე დაუდგენელია საქართველოს მოქალაქე რომან შიტიკოვის ადგილსამყოფელი. სახალხო დამცველის წარმომადგენლები ესაუბრნენ ორ პირს, რომელთაც დაადასტურეს, რომ შიტიკოვთან ერთად ერთ საკანში იმყოფებოდნენ ცხინვალის იზოლატორში. მათი განცხადებით, შიტიკოვი მათ მოუყვა, რომ 2008 წლის ომში მონაწილეობის გამო დახვრეტით ემუქრებოდნენ და სთხოვა საჯაროდ განეცხადებინათ მისი მდგომარეობის შესახებ. შესაძლოა, შიტიკოვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდეს.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, საქართველოს ციხეში გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები 11 პატიმარი იხდის სასჯელს, რომელთა გათავისუფლების შესახებაც სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. მათ შორის არიან ეთნიკურად ოსი პატიმრები, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ასევე ეთნიკურად ქართველი პატიმრები, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდნენ. (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი პატიმრების შესახებ):

- 2 პირი დაკავებულია 2008 წლის შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 319 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება);
- 3 პირი 2005 წლიდან იხდის სასჯელს გორის ტერაქტის გამო;
- 4 პირი სასჯელს 2008 წლის ომამდე იხდიდნენ, ძირითადად ქურდობის და ყაჩაღობის გამო;
- ორი პირი, 2010 წელს არის დაკავებული ყაჩაღობის და ნარკოტიკული დანაშაულისათვის;

ოსური მხარე პრინციპულად მხოლოდ 2005 წლის ტერორისტული აქტისათვის გასამართლებული პირების გათავისუფლებას ითხოვს. თუმცა, მათ გათავისუფლებაზე ქართულ მხარეს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, რადგან, ტერორისტულ აქტს პოლიციელები ემსხვერპლნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, არაერთხელ შესთავაზეს ოსურ მხარეს ტერორიზმისათვის გასამართლებული სამი პატიმრის გარდა, ყველა დანარჩენი პატიმრის გათავისუფლება ცხინვალის ციხეში მყოფი პატიმრების სანაცვლოდ, თუმცა ოსური მხარე ამაზე უარს აცხადებდა.

დაკავებები აფხაზეთის გამყოფ ხაზზე

2013 წელს, ქართულ-აფხაზურ გამყოფ ხაზზე ენგურის ხიდის საკონტროლო გამშვები პუნქტის გარდა, კიდევ 4 პუნქტი გაიხსნა (ფახულანი-ჭალე; თაგილონი-შამგონა, ოტობაია-განმუხური, ხურჩა-ნაბაკევი), რომლით სარგებლობის უფლება მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობას აქვს აფხაზური პასპორტის ფლობის შემთხვევაში. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, მათ შორის მიმდებარე სოფლების მკვიდრთათვის, გამყოფი ხაზის გადაკვეთა აკრძალულია.

ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმის რაოდენობა გალის რაიონის მკვიდრებისათვის 1 000 - 2 000 რუბლია (დაახლოებით 50-100 ლარი), ხოლო, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებთათვის 30 000 - 100 000 რუბლს შორის მერყეობს (1 500 - 5 000 ლარი).

საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, დაკავებების დიდი ნაწილი გალის რაიონის მცხოვრებლებზე მოდის, ვინაიდან მათ დოკუმენტები წესრიგში არ აქვთ და შემოვლითი გზებით უწევთ გამყოფი ხაზის გადაკვეთა. აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (ФСБ) საზღვრის დაცვის სამსახურის განცხადებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევისათვის“ დაკავებული იქნა 10 000-ზე მეტი ადამიანი და 1 000-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება, აღკვეთილი იქნა 800-ზე მეტი „კონტრაბანდის“ შემთხვევა.⁷

ხშირია ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მაცხოვრებელთა დაკავების შემთხვევებიც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე, 2014 წლის 31 მაისის მდგომარეობით, 107 პირი იქნა დაკავებული. სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა მოქალაქე გ.ხ.-ს შესახებ, რომელიც 2014 წლის 1 მაისს დააკავეს რუსმა მესაზღვრეებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. წყოუმში, სადაც იგი გასვენებაში იმყოფებოდა. მოქალაქე განმარტავს, რომ გამყოფ ხაზს არ მიახლოებულა. ერთკვირიანი პატიმრობის შემდეგ, მას სასამართლომ ჯარიმის სახით 30 000 რუბლი ანუ 1 500

⁷ „Погрануправление ФСБ России в Абхазии отмечает пятую годовщину со дня образования,“ აფსნიპრესი, 28.04.2014. იხილეთ <http://apsnypress.info/news/11823.html>

ლარი დააკისრა, რის გადახდის შემდეგაც იგი გაათავისუფლეს. გ.ბ. არის სოციალურად დაუცველი და ამბობს, რომ თანხის გადახდაში ნათესავები და მეზობლები დაეხმარნენ.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ისე საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია ყველა ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება,⁸ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება⁹, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება¹⁰.

კონფლიქტურ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეების ე.წ. „სასაზღვრო რეჟიმის“ დარღვევისათვის დაკავება/დაპატიმრება წარმოადგენს ადამიანების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების ხელყოფა.

ადამიანის თავისუფალი გადაადგილების და მიმოსვლის უფლება გარანტირებულია არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებით/კონვენციით. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 და მე-9 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება და არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ“¹¹ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა, იმის გამო, რომ განმცხადებელთა პატიმრობა არ იყო კანონიერი, რადგან ის განაჩენი, რომლის თანახმადაც ისინი დააპატიმრეს, არ იყო გამოტანილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, არც ერთი განმცხადებელი არ ყოფილა მსჯავრდებული „სასამართლოს“ მიერ და რომ პატიმრობის სასჯელის გამოტანა ისეთი ორგანოს მიერ, როგორც არის ე.წ. „დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ უზენაესი სასამართლო არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონიერ პატიმრობად“.

დაკავებულთა და პატიმართა გაცვლა შეიარაღებული კონფლიქტების და მის შემდგომ პერიოდში მიღებული პრაქტიკაა. 2008 წლის ომის დროს, ქართველი სამხედროების გასათავისუფლებლად, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს ბათუმის 25-ე ბრიგადის ყოფილი მეთაური გენერალი რომან დუმბაძე გადასცა, რომელსაც სამშობლოს დაღატაკის მუხლით, სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. 2011 წელს ისრაელმა ერთი ჯარისკაცის სანაცვლოდ 477 პალესტინელი

⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი;

⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი;

¹⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მეორე მუხლი;

¹¹ CASE OF ILAȘCU AND OTHERS v. MOLDOVA AND RUSSIA (Application no. 48787/99);

გათავისუფლა, მათ შორის ისინიც, ვინც ისრაელის წინააღმდეგ სისხლიან თავდასხმებში იყვნენ ბრალდებული.

2012 წელს, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პატიმართა გათავისუფლების პროცესი გააქტიურდა. 2013 წლის თებერვალში საქართველოს ციხეებიდან ამნისტიის შედეგად ეროვნებით ოსი სამი პატიმარი გათავისუფლდა. ამნისტია შეეხო მარეკ დუდაევსაც, რომელიც 2005 წლიდან მკვლელობასა და ყაჩაღობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. საპასუხოდ, ცხინვალის დე-ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი თეიმურაზ ჯერაპოვი შეიწყალა, რომელსაც ხელისუფლების ძალადობით ხელში ჩაგდების ბრალდებით 13 წელი ჰქონდა მისჯილი და ცხინვალის ციხეში 2010 წლიდან იხდიდა სასჯელს. ამ ყოველივეს კი პოზიტიური გამოხმაურებები მოჰყვა ქართული და ოსური საზოგადოებების მხრიდან.

დღეისათვის ეს პროცესი შეჩერებულია და თან ერთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მუდმივი უკანონო დაკავებები, რაც მათ ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. დაკავებების უწყვეტი სერია ზრდის რადიკალურ განწყობას მოსახლეობაში, რაც დამაბულობის ესკალაციისა და დესტაბილიზაციის ერთერთი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, ასევე, რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია:

- მხარეები მეტი სერიოზულობით მოეკიდონ მოლაპარაკებების პროცესს (IPRM, ჟენევის შეხვედრები), ყურადღება გაამახვილონ დაგროვილ პრობლემებსა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე და გადადგან ქმედითი ნაბიჯები წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად; შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკებების პროცესს დღეს ძირითადად ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან მხარეები ჯერ ისევ პოლიტიკური სტატუსსა და ტერმინოლოგიებზე აპელირებენ;
- უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება ორივე მხარეს. ამისათვის უნდა შეწყდეს ხანგრძლივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და გამოინახოს რეაგირების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაარღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს;
- მხარეებმა გამოიხატონ გზები დაკავებულთა და პატიმართა გასათავისუფლებლად. ეს შეიძლება იყოს გაცვლა – „ყველა ყველაზე“, ვადაზე ადრე გათავისუფლების, ამნისტიის ან შეწყალების გზით.
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, გალში IPRM-ის შეხვედრების აღსადგენად;
- საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მიეცეთ საშუალება დააკვირდნენ და შეისწავლონ ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევები კონფლიქტურ რეგიონებში.

დანართი

საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხინვალის ციხეში მყოფი ქართველი პატიმრების შესახებ

(ინფორმაცია მოწოდებულია პატიმართა ოჯახის წევრების მიერ)

1. მ. ჯ.

დაბადებული 1948 წელს ახალგორის რაიონის სოფელ მიდელათში.

2009 წლის 2 დეკემბერს, მ.ჯ ახალგორის მილიციამ მაშინ დააკავა, როდესაც ახალგორში მოხუცებული მშობლების მოსანახულებლად შევიდა. ადამიანების გატაცებაში მონაწილეობის ბრალდებით მისჯილი აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ოჯახის წევრთა განცხადებით მას აქვს ჯანმრთელობის პრობლემები.

ითხოვს განთავისუფლებას.

2. ვ. კ.

დაბადებული 1979 წელს.

2012 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე ეკლესიაში სალოცავად წასული ვ. კ. რუსმა მესაზღვრებმა სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. სასამართლომ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. იგი უკვე მეორედ არის დაკავებული ამ ბრალდებით. პირველად დააკავეს 2011 წელს და 9 თვე გაატარა ცხინვალის საპატიმროში.

ოჯახის წევრთა განცხადებით, პატიმრობის პერიოდში პატიმარმა დაიკლო 40 კოლო, განუვითარდა ტუბერკულოზი და გულის უკმარისობა, აქვს დიაბეტი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე მძიმდება.

ითხოვს განთავისუფლებას

3. მ. ხ.

24 წლის მ. ხ. 2012 წლის 15 ნოემბერს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. მისჯილი აქვს 2 წელი.

საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს ციხეებში მყოფი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მკვიდრი პატიმრების შესახებ

(ინფორმაცია მოწოდებულია პატიმართა მიერ)

1. ც. მ

დაბადებული 1970 წელს, ცხინვალში. საცხოვრებელი ადგილი: ზნაურის რაიონი, სოფელი ოქონა. ც. მ. 2011 წლის 21 მაისს დააკავეს უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით (სსკ. 319-ე მუხლი) და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, სასჯელი შეუმცირდა და განისაზღვრა 5 წლით და 4 თვით.

პატიმრის განცხადებით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (2000 წლიდან) იგი მცირეწლოვანი შვილებთან ერთად სამხრეთ ოსეთში გადასახლდა მშობლებთან საცხოვრებლად, თუმცა, სოციალური დახმარების ასაღებად და მეუღლის საფლავის მოსავლელად რეგულარულად ჩადიოდა ხარაგაულში, სადაც მეუღლის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. მისი განცხადებით, ის ხარაგაულიდან ბრუნდებოდა და ქარელის გადასახვევთან ადმინისტრაციულ საზღვრამდე მისასვლელად ტრანსპორტს ელოდებოდა, როდესაც გაჩერდა პოლიციის მანქანა, გადმოვიდნენ მამაკაცები, ჩამოაცვეს თავზე ტომარა და მანქანაში ჩასვეს, კარგა ხნის სიარულის შემდეგ კი სადღაც შენობაში მიიყვანეს. როგორც მსჯავრდებული აცხადებს, მხოლოდ შემდეგ გაიგო, რომ იმყოფებოდა თბილისში ე.წ. „მოდულის“ შენობაში. მისი თქმით, მას ბრალად ედებოდა თბილისში სურათების გადაღება და შემდეგ რუსეთის ჯარისათვის ამ ფოტოების მიწოდება.

ც. მ. წლების განმავლობაში ცხოვრობდა ზნაურის რაიონში შვილებთან და დედასთან ერთად, რომლებიც ამჟამად ისევ იქ იმყოფებიან. პატიმარს ყავს ავადმყოფი დედა და ორი შვილი (15 წლის გოგონა, 19 წლის ვაჟი). პატიმრობის პირობებსა და ადმინისტრაციის მხრიდან მოპყრობასთან დაკავშირებით პრეტენზიები არა აქვს.

ითხოვს მის გაცვლას ან სამხრეთ ოსეთში გადაყვანას.

2. დ. ჯ.

დაბადებული 1977 წელს, ქალაქ ცხინვალში. დაკავებამდე ცხოვრობდა თბილისში.

დ. ჯ.-ს განცხადებით, 2007 წელს საქართველოს უშიშროების სამსახურმა ის დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ქურთაში იძულებით გადმოიყვანა, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ მუშაობდა თბილისში, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტში. დ. ჯ. 2012 წლის 8 თებერვალს დააკავეს და სასჯელს იხდის

სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით. ბრალად ედება სამხრეთ ოსეთი უშიშროების წარმომადგენლებთან კონტაქტი და ინფორმაციის გადაცემა. მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა ამნისტიის შემდეგ სასჯელი შეუმცირდა 6 წლამდე. იგი თავს დამნაშავედ არ სცნობს და აცხადებს, რომ აღიარების მოპოვება მხოლოდ ზეწოლით, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მეშვეობით განხორციელდა, არ მისცეს ადვოკატის აყვანის და სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება. არ უჩივის პირობებს და ადმინისტრაციის მხრიდან მოპყრობას, თუმცა აქვს ჯანმრთელობის პრობლემები.

ითხოვს გაცვლას.

3. ბ. ტ.

დაბადებული ცხინვალში.

ბ. ტ. 2003 წელს ქურდობის ბრალდებით დააკავეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ციხიდან გამოვიდა 2005 წელს, შექმნა ოჯახი და დარჩა თბილისში საცხოვრებლად. თუმცა 2007 წელს კვლავ დაიჭირეს ქურდობაზე (რომელსაც აღიარებს). თუმცა, ბრალი დაუმძიმდა სხვა დანაშაულების გამო, რომელსაც არ აღიარებს და მიუსაჯეს 27 წელი. მისი განმარტებით, მან არ ითანამშრომლა ხელისუფლებასთან ცხინვალიდან ინფორმაციების მიწოდებაზე, რის გამოც დაუმატეს სასჯელი. მსჯავრდებული აცხადებს, რომ ციხეში ამცირებდნენ და სცემდნენ. 2012 წლის ამნისტიის შედეგად დარჩენილი აქვს 5 წელი და 10 თვე.

ითხოვს ცხინვალში გადაყვანას.

4. ა. თ.

დაბადებული ცხინვალში 1978 წელს.

2007 წლამდე ცხოვრობდა ცხინვალში, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, მაშინდელ დე-ფაქტო ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო დატოვა ქალაქი და ჩამოვიდა თბილისში, სადაც 2008 წლის 6 აგვისტომდე მუშაობდა სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში. 2008 წლის 6 აგვისტოს ა.თ დააკავეს საქართველოს კონტრაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და თანამშრომლობა შესთავაზეს. მსჯავრდებულის განცხადებით, თანამშრომლობა ცხინვალში კონკრეტული პირების ლიკვიდაციას და ტერორისტული აქტების განხორციელებას გულისხმობდა. უარის მიღების შემდეგ, იგი ყაჩაღობისა და თავისუფლების აღკვეთის ბრალდებით დააკავეს. 2008 წლის 8 აგვისტოს გორის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. იგი გლდანის #8 დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც პატიმრის განცხადებით, დაწესებულების თანამშრომლები სისტემატიურად აწამებდნენ, დღეში რამდენჯერმე უმოწყალოდ სცემდნენ, ემუქრებოდნენ მეუღლის დაჭერითაც, რომელიც ამ დროს ფეხმძიმედ იყო. ა. თ.-ს განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანისას, პოლიციამ დაწესებულების თანამშრომლებს შეატყობინა, რომ თითქოს, იგი ცხინვალის ომში, ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისას დააკავეს. ხდებოდა მისი სიტყვიერი შეურაცხყოფა ეთნიკურ ნიადაგზეც.

2009 წელს სასამართლომ ა. თ.-ს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2010 წლიდან იგი რუსთავის #17 დაწესებულებაშია, სადაც კვლავ სასტიკად სცემდნენ და აწამებდნენ. მისი ცნობით, კონტრაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლები მასთან #17 დაწესებულებაშიც შედიოდნენ და კვლავ სთავაზობდნენ თანამშრომლობას. პატიმრის განცხადებით, მაღალჩინოსნებმა მეგის ქარდავამ და იოსებ თოფურიძემ კი თავისუფლების სანაცვლოდ იმ დროს იმავე საპატიმროში მყოფი ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაცია შესთავაზეს.

2012 წლის ამნისტიის შედეგად, ა. თ.-ს სასჯელი შეუმცირდა 11 წლამდე. თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 26 ივნისს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მისი საქმის განხილვისას არ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით სასჯელის შთანთქმის პრინციპი. დღეისათვის არ უჩივის პირობებსა და მოპყრობას. აქვს ჯანმრთელობის პრობლემები. კარგავს გონებას, უჭირს გადაადგილება და ჯდომა. იგი თავდაპირველად იყო პოლიტპატიმართა სიაში, თუმცა, მოგვიანებით ამოიღეს სიიდან. დარჩენილი აქვს 6 წელი.

2014 წლის 11 თებერვალს ა. თ.-მ სახალხო დამცველს აცნობა, რომ მისი ოჯახის წევრებმა ცხინვალში კვლავ მიიღეს მუქარის შემცველი ზარი, ხოლო მეუღლე შიშით ვერ ახერხებს მცირეწლოვანი ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანას.

ითხოვს საქმის გადახედვას, სამართლიან სასამართლოს და გაცვლას.

5. ჰ. კ.

დაბადებული ცხინვალში 1982 წელს

ჰ. კ. 2010 წელს სოფელ არცევთან დააკავეს და ყაჩაღობის ბრალდებით (იარაღის მუქარით მანქანის გატაცება) 9 წელი პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმარი ბრალს არ აღიარებს. ამნისტიის შემდეგ სასჯელი შეუმცირდა 6 წლამდე და მოსახდელი დარჩა წელიწადნახევარი. იგი აცხადებს, რომ წლების მანძილზე იყო წამების მსხვერპლი, რის შედეგადაც შეერყა ჯანმრთელობა. ერთი წლის წინ გამოკვლევების შედეგად დაუდგინდა, რომ მას ესაჭიროება ოპერაცია, რომელსაც დღემდე უშედეგოდ ელოდება.

ითხოვს მკურნალობას, ოპერაციას და გაცვლას.

6. ა. ბ.

დაბადებული მცხეთის მუნიციპალიტეტის დაბა ქსანში 1988 წელს.

2003 წელს ა.ბ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს თბილისში და მიუსაჯეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა 2008 წელს დაწესებულების თანამშრომლისათვის ხელის დარტყმის გამო დაემატა 12 წელი. ამნისტიის შემდეგ, მოსახდელი დარჩა 2 წელი და 7 თვე. პატიმარი აცხადებს, რომ დაკავების დროს, ასევე 2008 წელს ადგილი ჰქონდა მის ფიზიკურ, სიტყვიერ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. პატიმრის განცხადებით, 2014 წლის თებერვალში მასზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, რისთვისაც მან პროკურატურას უკვე მიმართა. პატიმარი ამბობს, რომ გათავისუფლების შემდეგ შესაძლოა დატოვოს ქვეყანა.

7. კ. ბ.

დაბადებული ახმეტის რაიონის სოფელ ახალშენში 1973 წელს.

კ.ბ. 2006 წელს დააკავეს უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარებასა და ლაღატისათვის (307 მუხლი, რომელიც 2007 წელს ამოღებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან) და მიუსაჯეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიის შემდეგ, მოსახდელი დარჩა 1 წელი და 6 თვე. პატიმარს ოჯახი ჰყავს თბილისში და აცხადებს, რომ გათავისუფლების შემდეგ აპირებს საქართველოს დატოვებას, რადგან თვლის, რომ მისთვის ქვეყანაში ყოფნა უსაფრთხო არ არის. პატიმრის განმარტებით, მის მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას ეთნიკურ ნიადაგზე ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან.

8. თ. ც.

დაბადებული 1975 წელს ცხინვალში; 2008 წლის ომის შემდეგ ცხოვრობს გორში.

თ.ც. 2010 წელს დააკავეს თბილისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება). მან დანაშაული აღიარა და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიის შემდეგ, სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით (3 წელი და 3 თვე) და მოსახდელი დარჩა 5 წელი. პატიმარი არ უჩივის პირობებსა და მოპყრობას და აცხადებს, რომ მის მიმართ არც წარსულში ყოფილა ძალადობა განხორციელებული. პატიმარს ჰყავს მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი. გათავისუფლების შემდეგ ოჯახთან დარჩენას და მდგომარეობის გაუმჯობესებას აპირებს.

9. გიორგი ზასეევი, გიორგი ვალიევი და სოსლან კოჩიევი

2005 წლის 1 თებერვლის გორის ტერაქტის ორგანიზებისათვის მსჯავრდებულ სამ პირს გიორგი ზასეევს, გიორგი ვალიევსა და სოსლან კოჩიევს სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი. აფეთქების შედეგად 3 პოლიციელი დაიღუპა, 30-მდე პირი კი დაიჭრა. ზასეევი და ვალიევი დანაშაულს აღიარებენ, თუმცა ამბობენ, რომ კოჩიევი პირველად ციხეში გაიცინეს და რომ მას ტერაქტთან კავშირი არ ჰქონია. დივერსიული ჯგუფის დანარჩენ ექვს წევრზე ძეზნაა გამოცხადებული.

სამივე პატიმარი **ითხოვს** ცხინვალისთვის გადაცემას.

10. ე.წ „ტერაქტების საქმე“

2010 წლის სექტემბერ-ნოემბერში, საქართველოში ტერორისტული აქტების განხორციელებისათვის დაკავებული იყო 12 პირი, ძირითადად გალის რაიონისა და ზუგდიდი მუნიციპალიტეტის მკვიდრნი, რომლებიც გამოძიების ინფორმაციით, რუსი მაიორის ევგენი (ჟენია) ბორისოვის მითითებებით მოქმედებდნენ.

მათ ბრალად ედებოდათ 2010 წლის 28 ნოემბერს თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩის №88-ში მდებარე „ლეიბორისტული პარტიის“ ცენტრალურ ოფისთან მომხდარი აფეთქება, რის შედეგადაც დაიღუპა ადგილობრივი მცხოვრები ნინო გორდეზიანი; 2010 წლის 28 ნოემბერის აფეთქება თბილისში, მუხიანის პირველ მიკრორაიონში, ნონეშვილის ქუჩის №13-ში მდებარე სუპერმარკეტთან; 2010 წლის 22 სექტემბერს მომხდარი აფეთქება თბილისში, აშშ-ის საელჩოს სიახლოვეს; 2010 წლის 21 ოქტომბერის ორი აფეთქება თბილისის რკინიგზის სადგურთან; 2010 წლის 2 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდთან სარკინიგზო ხიდის აფეთქების მცდელობა.

მსჯავრდებულ მერაბ ყოლბაიას (იგივე კოჭოია) განცხადებით, რეგულარული წამების გამო მან დანაშაული აღიარა და ასევე დაასახელა საქმეში მონაწილე სხვა პირებიც. სახალხო დამცველი ყოლბაიას სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში 2013 წლის 1 ოქტომბერს შეხვდა და მოპოვებული ინფორმაცია საზოგადოებას გააცნო.¹² სწორედ ყოლბაიას ჩვენებების საფუძველზე, რომელიც იყო ერთადერთი მტკიცებულება, ბრალდებულ დავით კეკუტიას სასამართლომ მიუსაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ საქმის მონაწილე 5 პირი დღემდე პატიმრობაში რჩება (დავით კეკუტია, გოგიტა არქანია, გოჩა ხურცილავა, მამუკა შონია, ჯონი აბულაძე). ერთი პირი 67 წლის ჯენერი მატკავა ავადმყოფობით პატიმრობაში გარდაიცვალა. საპროცესო შეთანხმებისა და ამნისტიის შედეგად სხვადასხვა დროს გათავისუფლდა 5 პირი (ლელა ხურცილავა, ნანა არქანია, მარიამ ნიკოლავა, გოდერძი არქანია, მამუკა ზურაბიანი).

მსჯავრდებულთა ჩვენებების საფუძველზეც საქართველოს პროკურატურამ პატიმართა წამების ფაქტებზე გამოძიება დაიწყო და ბრალი დაუმძიმა მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის ყოფილ თანამშრომლებსა და შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს მეგის ქარდავას.

პატიმართა ოჯახის წევრები იმედოვნებდნენ, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეიქმნებოდა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელიც მათ საქმეს გადახედავდა. ამ საქმეზე დაკავებული პირები თავდაპირველად პარლამენტმა

¹² სახალხო დამცველის განცხადება იხილეთ <http://www.ombudsman.ge/ge/page/1910-msdjavrdebul-merab-yolbaias-saqmestan-dakavshirebit>

პოლიტპატიმართა სიაში შეიყვანა, თუმცა საბოლოოდ ამ სტატუსით გათავისუფლებულთა რიცხვში ისინი აღარ აღმოჩნდნენ.

11. თ. ბ.

2011 წელს „ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობის“ ბრალდებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გალის რაიონის ორი მკვიდრი თ. ბ და ა. ჩ. დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, მათ აფეთქების მოწყობა აფხაზეთში მყოფმა რუსეთის სპეცსამსახურების ორმა თანამშრომელმა იგორ ვლასოვმა და სერგეი კუზმინმა დაუკვეთა. მათ ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი) 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

12. თ. ბ.

2010 წლის 5 მაისს ბათუმში მომხდარი ტერორისტული აქტისათვის, რომელსაც საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების აჭარის სამმართველოს უფროსი დიმიტრი კორმაძე ემსხვერპლა, გალის რაიონის მკვიდრი თ.ბ. და ო. რ დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ტერორისტული აქტის განხორციელება მათ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ-ს) თანამშრომლებმა დაუკვეთეს. მათ დაუკავშირდა აფხაზი პოლკოვნიკი ვალმერ ბუთბა და აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი სლავიკ ვარდანია, რომლებმაც გრუ-ს თანამშრომლები გააცნეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ო. რ.-მ ციხის საკანში თავი მოიკლა. თ. ბ.-ს კი სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

აფხაზეთის ციხეებში მყოფი გალისა და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის მკვიდრი პატიმრები

2012 წლის 8 ოქტომბერს აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა 15 პირის სია, რომლებიც გასამართლებულები არიან ჯაშუშობის, ტერორიზმის, ყაჩაღობის, იარაღის უკანონო შენახვისა და კონტრაბანდის ბრალდებით. მათ შორის 9 გალის რაიონის მკვიდრია, დანარჩენი კი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის.¹³

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2013 წლის 25 სექტემბერს აფხაზეთის დე ფაქტო უზენაესმა სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გიორგი ლუკავას, რომელსაც, როგორც პარტიზანული ჯგუფის „ტყის ძმების“ წევრს

¹³ Доклад о террористической деятельности спецслужб Грузии на территории Республики Абхазия
აფსნიპრესი, 15.10.2012. იხილეთ: <http://apsnypress.info/docs/7502.html>;

ბანდფორმირების შექმნა, მკვლელობა და ადამიანთა გატაცება ედება ბრალად.¹⁴ მედიაშივე გავრცელებული ინფორმაციით, ასევე დაკავებული არიან გალის მკვიდრი მანუჩარ შონია, დათო თორდია და გიორგი ნარმანია.¹⁵

2014 წლის 5 ივნისს აფხაზური მედია საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია გალის რაიონის მკვიდრი, 1959 წელს დაბადებული როლანდ კონსტანტინეს ძე ხურცილავას დაკავების შესახებ. ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახურმა ხურცილავა „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით დააკავა. როგორც განცხადებაშია ნათქვამი: „ხურცილავამ საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომლებისაგან საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიულ–ტერორისტული აქტის ჩატარების დავალება მიიღო. ხურცილავას, ვითომდა რუსეთის ოფიცრის დავალებით, ზუგდიდში განლაგებულ მართლმსაჯულების სახლთან თვითნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერება უნდა დაედო. ამასთან ერთად, ის ყოველ მიზეზ–გარეშე უნდა მოხვედრილიყო სოფელ თაგილონში მშენებარე სასაზღვრო საგუშაგოს ტერიტორიაზე და ნებისმიერ რუს ოფიცერთან გაება საუბარი, ხოლო შეხვედრა ვიდეოზე უნდა აღებეჭდა. დავალების შესრულების შემდეგ, საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომლები მას 10 ათასი აშშ დოლარს, თბილისის შემოგარენში ბინას, ავტომობილს და ყოველთვიური ანაზღაურებით 600 ლარის ოდენობის სამსახურს დაპირდნენ. ხოლო უარის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებზე ძალადობით დაემუქრნენ“.¹⁶

სახალხო დამცველს ხელი არ მიუწვდება ამ სიის სიზუსტის გადასამოწმებლად ან პატიმართა მდგომარეობის შესწავლაზე. სახალხო დამცველისათვის არ მიუმართავთ არც პატიმართა ოჯახის წევრებს.

¹⁴ Один из руководителей грузинской вооруженной банды «Лесные братья» приговорен к 20 годам лишения свободы.

აფსნიპრესი. 16.10.2013. იხილეთ:<http://apsnypress.info/news/10328.html>

¹⁵ აფხაზეთში ქართული სადაზვერვო ქსელი ჩავარდა, ამერიკის ხმა, 16 სექტემბერი 2013 . იხილეთ <http://m.amerikiskhma.com/a/georgia-citizens-are-condemned-in-occupied-abkhazia-for-espionage/1750271.html>

¹⁶ Сотрудники СГБ задержали жителя Галского района Роланда Хурцилава за незаконное пересечение госграницы. აფსნიპრესი, 5.06.2014. იხილეთ <http://apsnypress.info/news/12179.html>. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 5 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ზუგდიდში დააკავა ზუგდიდის პროკურატურასთან აფეთქების მცდელობაში ეჭვმიტანილი, 1961 წელს დაბადებული, გალის რაიონის მკვიდრი როლანდ ხურცილავა. სამართალდამცავების მტკიცებით, ხურცილავამ ზუგდიდში ასაფეთქებელი მოწყობილობა გალიდან შეიტანა. თავად დაკავებული ტელევიზიით გავრცელებულ აღიარებით ჩვენებაში აცხადებს, რომ აფეთქება მას რუსმა სამხედრომ დაავალა. შესაძლოა, იგი იყოს აფხაზეთი დე ფაქტო სტრუქტურების მიერ დაკავებული პირი, თუმცა ყველა მონაცემი არ ემთხვევა.